№ 187

ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 187

ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

ალებ-მიცემა

„შუამბაბალი“

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან გამართა ახლად სასაყასბო და 10 ენკენისთვიდგან შეუძლიან ყველას შეიძინოს აქ ხორცი: ძროხისა, ცხვრისა, ღორისა და აგრეთვე ხბო, ბატკანი და ნანადირევი ყოველგვარი.

ხორცი იქმნება მუდამ ახალი და სრულიად წუნდაუდებელი. საყასბო სამაგალითოდ არის მოწყობილი. (3—6.—2)

**მხატვარი გ. ი. გაბაშვილი**

დაბრუნდა-რა საზღვარ-გარეთიდგან, აარსებს მხატვრობის სასწავლებელს.

პირობათა შეტყობა შეიძლება სასახლის ქუჩაზედ, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში, ბ-ნ როინაშვილის ფოტოგრაფიის გვერდით, დილის 10-დგან 12 საათამდე და საღამოს 4-დგან 6 საათამდე.

სწავლა 10 სექტემბრიდგან დაიწყება. (2—168—2)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი სოვეტნიკობა—ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგს ტარსაიძეს.

## ახალი ამბავი

⁂ ოთხშაბათს, 17 სექტემბერს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში ქართველ სტუდენტის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნება სამ მოქმედებიანი კომედია ვ. გუნიასი „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. კომედიის შემდეგ დივერტისმენტი. მონაწილეობას მიიღებენ ქართულ სცენის საუკეთესო არტისტები.

⁂ სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის აგენტებმა წარუდგინეს ქალაქის გამგეობას სია იმ სახლის პატრონთა, რომელნიც თავიანთ სახლის წინ ქვა-ფენილს არ აგებენ, თუმცა ქალაქის გამგეობამ რამდენჯერმე მიჰმართა მათ თხოვნით. ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ყველა ეს სახლის პატრონები, აგრეთვე ისინი, ვისი სახლის მილიც ქუჩამდის არ არის დასული, სასამართლოში უჩივლოს.

⁂ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, საერობო დარაჯთა დასაქირავებლად, რომ ჰირიანს საქონელს გარს შემოერტყნენ, ხუთასხუთასი მანეთი მიეცემათ ტფილისისა, თიანეთისა, დუშეთისა და გორის მაზრის უფროსებს; ტფილისის გუბერნიის დანარჩენ მაზრის უფროსებს ორას-ორასი მანეთი მიეცემათ.

⁂ რიყის მცხოვრებთ ქალაქის გამგეობაში საჩივარი შეუტანიათ, რომ მადათოვის კუნძულის მარჯვენა ნაპირზედ მამულის მქონენი შენობის ნარჩენს მასალასა და ნაგავს მტკვარში ჰყრიან, მტკვარი ამისათვის წყალდიდობის დროს ჩვენკენ გადმოდის და ზარალს გვაძლევსო. ამისათვის ქალაქის გამგეობა სთხოვს პოლიცმეისტერს, აღნიშნულს ადგილას ნაგავის დაყრა აღკრძალოს.

⁂ ამ ბოლოს დროს ტფილისში ძლიერ ნაკლებად ერეკებიან დასაკლავ საქონელს და ამის გამო გაძვირდა კიდეც. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ქალაქის ბაზრის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ჯაბადარმა, გამოჰკითხა ვაჭრებს მიზეზი და ასე უთხრეს, გუმბრიდგან ტფილისში უნდა მოერეკათ 1500 ცალი საქონელი და ეს საქონელი ამჟამად ჯალალ-ოღლისა და დელიჟანს შორის არის გაჩერებული, რადგანაც საქონლის პატრონებს გზაში ავაზაკებისა ეშინიანთო. ამიტომ ბ-ნმა ჯაბადარმა მიჰმართა ქალაქის გამგეობასა და სთხოვა იშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რომ საგუბერნიო ადმინისტრაციამ ჩაფრები გამოაყოლოს საქონელსაო.

⁂ სამშაბათს, 9 სექტემბერს, სომხის მღვდელ ტერ-გაბრიელიანცი პოლიციაში მივიდა და გამოაცხადა, რომ ჩემს სახლის სარდაფში, ავჭალის ქუჩაზედ, რომელშიაც ალექსანდრე არისტაკოვის აფთიაქია მოთავსებული, ცეცხლი გაჩნდაო. ცეცხლი წაჰკიდებია კალათებს, რომელშიაც ჩალა ყოფილა. სახლის გაჩხრეკის დროს სანთლის ნამწვი უპოვნიათ, რომელიც, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, არისტაკოვის მაღაზიაში მოსამსახურეთ გიორგი ნიკოლაიშვილს და იაკობ ბაბალოვს შეუტანიათ ორი საათის წინ ცეცხლის წაკიდებამდე. არისტაკოვის აფთიაქის საწყობი დაზღვეულია 15,000 მანეთად. თვით არისტაკოვი ამ დღეს თელავში იყო. ცეცხლი შინაურის საშუალებით ჩაუქრიათ.

⁂ როგორც გაზეთები იუწყებიან, კავკასიის სამოსწავლო ოლქის ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს განათლების სამინისტროს წინაშე ტფილისის გუბერნიაში საერო სკოლების ინსპექტორის მესამე თანამდებობის დაარსების შესახებ.

⁂ გაზ. „სინ ოტეჩ.“ სიტყვით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს კავკასიაში ცალკე ახალშენები სამაგალითო მემცხვარეობის გასამართავად.

⁂ ს. ამაღლება, (გურია). ჩვენი სოფელი სხვა გურიის სოფლებს არ ჩამოუვარდება მშვენიერის ადგილმდებარეობითა და ჰავით. ხალხიც ქონებრივად არ არის დაქვეითებული, მაგრამ სწავლა-განათლებითკი თითქმის უკანასკნელი ალაგი უჭირავს. მაშინ, როდესაც სხვა გურიის სოფლებში აარსებენ სკოლებსა და წიგნთ-საცავებს, ჰფიქრობენ ხალხის განათლებისათვის და სოფლის ინტელიგენცია უქმად არ არის, ამ სოფლის ინტელიგენცია ყურსაც არ იბერტყავს. მართალია, მოიპოვება ერთი სამინისტრო სასწავლებელი ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ რას გასწვდება ოთხს სოფელს, რომელშიაც 700 კომლი მცხოვრებია, და როგორ დააკმაყოფილებს სწავლის მსურველთა მოთხოვნილებას. მიზეზიც ეს არის, რომ მთელს საზოგადოებაში სულ მცირე რიცხვია წერა-კითხვის მცოდნეთა.

⁂ ქ. ფოთი. ვერ წარმოიდგენთ, რანაირად თავს წავიდნენ აქაური რამდენიმე ბაყალი და რანაირად ატყუებენ საწყალს სოფლის ხალხს. თუმცა შუადღემდის აღკრძალული აქვთ ივაჭრონ რამე ფუთობით, მაგრამ აი რა ხერხს მიჰმართეს: ჩამოიტანს თუ არა გლეხ-კაცი ქალაქში სანოვაგეს, მიდიან ეს ვაჟბატონები, აძლევენ ბეს და ეუბნებიან, შუადღემდის შეგვინახე და მაშინ ჩავიბარებთო. უცდის გლეხ-კაციც, მაგრამ შუადღე საღამოდ გადაექცევა ხოლმე და მაშინ რაც უნდათ, იმას აძლევენ. თუ არ აიღებს და, თითონ იციან, რა დღესაც დააყენებენ ხოლმე საწყალს მოტყუებულს გლეხკაცს.

⁂ გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, ტფილისის მოქალაქეს პროვიზორს ა. ს. კლებანსის შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ნება დართონ ტფილისში საქიმიო და საფარმაცევტო ლაბორატორია გამართოს.

⁂ იგივე გაზეთი იუწყება, რომ ამ რამდენისამე დღის წინად, დუშეთის მაზრაში, დიდს გზაზედ, რომელიც ლეხურის ხეობიდგან გორის მაზრაში გადადის, გორის მაზრის სოფ. ამბრევის მცხოვრებელმა თედო

## ფელეტონი

### სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

I

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც კიევში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. გამოფენას ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა დანიშნული წინდაწინვე, მაგრამ მომავალმა კომიტეტის გადაწყვეტილება შესცვალა, სამხრეთ-დასავლეთ რუსეთისთვის დანიშნულ გამოფენაში არა თუ რუსეთის სხვა ადგილიდგანაც მოვიდნენ მონაწილეობის მიღების მსურველნი, საზღვარგარეთიდამაც-კი. ამიტომ კიევის გამოფენას საინტერესო სახე დაედო და შეიქმნა მეტად სასიამოვნო სანახავი და სასარგებლო.

გამოფენის გარეგან სიმშვენიერეს თვით ქალაქის მდებარეობაც დიდად უწყობს ხელს. კიევი მწვანით შემოსილი ქალაქია, ერთ სახლს ვერა ჰნახავთ, რომ პაწია ბაღი არა ჰქონდეს, მწვანე არ ამშვენებდეს. დნეპრის საუცხოვო-მომხიბლველ ნაპირებზედ და იქვე ზე აღმართულ მწვანით შებურდულს გორებზე, რომელზედაც ქალაქია გაშლილი, რაღა ითქმის. ეს სურათი მუდამ თვალს იტაცებს, მისის აწონ-დაწონვით მხედველობა არას დროს არ იღალება. გამოფენა გაშლილია 15 დესეტინაზე, ამ ადგილის ორ მესამედზედ მეტს შეადგენს გორაკები, საიდგანაც ამპარტავნად მოსჩანან მშვენიერი კერძო თუ საზოგადო ფარდულები (პავილიონი). კერძო ფარდულები საკვირველი ხელოვნებით არის აგებულ-მორთული. გრაფ პატოცკის კერძო ფარდული სულ მთლად კანგაუხდელ სხვა-და-სხვა ხისაა, ასე გგონია, ეს კოპწია სახლი თვით ბუნებას აღმოუცენებია დედა-მიწის გულიდგან. ამ შენობას 15,000 მანეთად აფასებენ. იქვე არა ამაზედ ნაკლები ფარდულებია მეორე გრაფ პატოცკისა, ტერეშჩენკოსი და სხვათა. ფარდულები ეკუთვნით მილლიონების პატრონებს ზ რა საკვირველი უნდა იყოს იმათი სიუხვე გამოფენის გასალამაზებლად.

როდესაც ადიხართ ამ მაღლობზედ, თქვენ წინ იშლება თითქმის მთელი კიევი თავისებურ სილამაზით. დაშორებით მაღლობიდგან დინჯად გადმოიყურება ტაძარი მეცნიერებისა, კიევის უნივერსიტეტი, რომელსაც გვირგვინის მზგავსათ გარს შემოხვევია მწვანე და წითლად შეღებილ უზარმაზარ შენობას რაღაც არა ჩვეულებრივს სიდიადეს უმატებს. გამოფენაზედ მყოფს გატკბობს გარს შემორტყმული ბუნება და საერთოდ უცხო სანახაობა.

გამოფენის ადგილზედ აგებულია თეატრი, სადაც მუდამდღე წარმოდგენებია; აშენებულია აგრეთვე მაღლობი ადგილი მუსიკის ხოროსათვის, რომელიც საღამოობით უკრავს პეტერბურგის ცნობილ მემუსიკეს ლოტბაროობით. ყველა შენობებზედ უფრო მაღლა ოთხ ადგილას არის მშვენივრად მორთული ოთხი სასტუმრო, სადაც მუდამ უკრავს ქალვაჟთა ხორო. გამოფენას შუაზედ სჭრის ელექტრონის გზის ლიანდაგი; ამ ლიანდაგზედ ნაზის რხევით მიიკლაკ-მოიკლაკნება ელექტრონის ძალით გაქანებული ვაგონები. შუა გულში სდგას ორ-სართულიანი მშვენიერი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია ფოსტა-ტელეგრაფი, გამოფენის ადმინისტრაცია და ბიურო ლიტერატორ კორრესპონდენტებისათვის. ამ ბიუროს, სადაც ყოველნაირი გაზეთი მოიპოვება, განაგებს ჟურნალ „მიწათ-მოქმედების“ რედაქტორი ბ-ნი ლეშჩენკო; ბიუროში თითქმის ყოველ დილით 12 საათზედ იკრიბებიან ჩამოსულნი თუ ადგილობრივნი კორრესპონდენტები. აქვე გვერდით არის პატარა ბუფეტი; აქ თქვენ შეგიძლიანთ მოიპოვოთ მხოლოდ „ფრანგული ვაფლი“ და ჩაი, მაგრამ შესანიშნავი ის არის ამ ბუფეტში, რომ აქ მდგომს თავი სადღაც პარიჟის რესტორანის გვერდით ჰგონია: გაისმის ნამდვილი ფრანგული კისკისი, ხარხარი, საერთო მხიარული კილო (პატრონები ფრანგის ქალები და კაცები არიან, სტუმრებიც უფრო ხშირად უცხო ქვეყნელები არიან.)

აქა-იქ ამოჩუხჩუხებს რამდენიმე შადრევანი. ერთი ელექტრონის ფერადი შადრევანი ჰმუშაობს კვირაში ერთხელ (კვირა დღეს). საუცხოვო სანახავია იგი. ასე გეგონებათ, დედამიწიდგან ამოდის ჩუხჩუხით ფერადის სინათლის მომფენი შადრევანიო.

ამაზედ ცოტა დაშორებით მაღლობზედ გაშენებულია ბაღები სხვა-და-სხვა სამეურნეო სასწავლებლებისა და კერძო მებაღეთა.

ყველა ეს ერთად შეერთებულ-შეზავებული მომხიბვლელ სურათს წარმოადგენს. ამ სურათის ძალა და მიმზიველობა ორკეცდება ღამით ელექტრონის სინათლეზედ. დაუმატეთ მუსიკის სასიამოვნო ხმა, საერთოდ ცოტად თუ ბევრად სიწყნარე, დააკვირდით მთელს მიდამოს და რაღაც აღტაცებას იგრძნობთ. გსურთ მუდამ იყოს აღმართული ასეთი კოპწია სასიამოვნო სანახავი, მაგრამ როცა მოგაგონდე-

გაბეშვილმა დის ჩაგონებით რევოლვერი ესროლა სოფ. მონასტრის მცხოვრებელს 60 წლის ქალს საბედა ჩაბიშვილს და მოჰკლაო.

*** გუშინ წინ, 8 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვიდა 70 უცხო ქვეყნელი გეოლოგი.

## წერილი ქუთაისიდგან

—

ამას წინად ქუთაისის საკვირაო სკოლის სადგომში საერო მასწავლებელთა კრება იყო. კრებას დაესწრო 30-მდე სოფლის მასწავლებელნი და ქალაქის სხვა-და-სხვა სასწავლებლების მასწავლებელნიც. უნდა შემდგარიყო ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება, იმ აზრით, რომ 1) ნივთიერად დახმარება აღმოეჩინა ამ საზოგადოების წევრთათვის გაჭირვების დროს, რამდენადაც საზოგადოება საჭიროდ დაინახავდა; 2) ეზრუნა მათის გონებრივ განვითარების გასაუმჯობესებლად. კრებამ დაიწყო შემდეგის საგნების გარჩევა; 1) წევრებად ვინ უნდა იქმნენ მიღებულნი, მარტო საერო მასწავლებელნი, თუ ქალაქის მასწავლებელნიც და არა მასწავლებელნიც. 2) წევრების ნივთიერად დახმარების საქმე რა გვარად უნდა მოეწყოს; წევრებს ფული მცირე სარგებლით მიეცეს სესხად თუ უსარგებლოდ ან ჩუქებით! 3) იმათს გონებრივს განვითარებას როგორ შეუწყოს ხელი, ან რა საშუალებით.

პირველის საგნის შესახებ უმეტესი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ წევრებად მიღებულ იქმნენ ყველანი, როგორც საერო მასწავლებელნი, აგრეთვე ქალაქის მასწავლებელნიც და სხვა კერძო კაცნიც, რომელნიც კი თანაუგრძნობენ ამ კეთილს დაწესებულებას, მაგრამ ზოგიერთებიკი არაა თანახმანი იმის გამო, რომ ქალაქის მასწავლებელთა მერმისი უზრუნველ ყოფილია, რადგან პენსია ეძლევათ და ნამდვილ გულშემატკივარ წევრობას ვერ გაგვიწევენო. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეხმაროს საზოგადოება ნივთიერად წევრებსაო, მრავალი აზრი წარმოითქვა. ზოგნი არჩევდნენ, რომ მცირე სარგებლით მიეცეს სესხად წევრებს ფული; უფრო ბევრი-კი იმის თანახმა იყო, რომ ფულით შემწეობა, ბევრი იქნება თუ ცოტა, საჩუქრად მიეცესო. საერო მასწავლებელნი უმეტეს ნაწილად მივარდნილ სოფლებში ჰმსახურებენ, საიდგანაც წელიწადში ერთხელ მოუხდებათ ჩამოსვლა ქალაქში, ამის გამო თავის დროზედ ან ვერ წარმოადგენენ სესხად წაღებულს ფულს, რომ იშოვნონ კიდეც, ან ვერ შესძლებენ იმის გადახდასაო; გადახდა რომ შეეძლოთ, მაშ რაღა საჭირო იქნება იმათი დახმარებაო.

ამ საგნების განხილვამ დიდი კამათი გამოიწვია. ბოლოს არჩეულ იქმნა კომისია ქალაქის მასწავლებლების და სხვათაგან, რომელსაც დაევალა შეადგინოს წესდება და პროგრამა ამ საზოგადოების მოქმედებისა, იმ გვარადვე, როგორიც ტფილისში არსებობს. კომისიამ დეკემბრის თვეში უნდა წარმოადგინოს ეს პროგრამა და წესდება. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისია გულმოდგინეთ შეუდგება ამ დიდ მნიშვნელოვან კეთილ დაწესებულების წესდების შედგენასა და შემუშავებას.

ვლადო ბზვანელი.

## სასამართლოს მატიანე

—

საქმე აზნ. დ. ი. კეზელისა და გლეხის ალ. მახარაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ აზ. ბარამ შაბურიშვილის მოკვლა და სხვა შაბურიშვილების მოკვლის განზრახვა.

(შემდეგი *)

მოწმემ დავით ნიკოლოზის ძემ შაბურიშვილმა საბალახოს მოკრებისა და მოლოდინის გომურში დამწყვდევისა და ამ გომურის კარების გატეხის შესახებ ილაპარაკა. საბალახოს აღების დროს კეზელის მოურავი მახარაშვილიც იქ დაესწრო და იღებდა მონაწილეობასაო; როდესაც ჩვენ შევიტყეთ, რომ საბალახოში აღებული ღორები კეზელის ბიჭებს გაურეკია მოლოდინის გომურიდგან, წავედით კეზელთან, რომ ამ საგნის შესახებ ან იმასთან მოგველაპარაკნა, ან იმის მოსამსახურეებთან, გზაზედ კეზელის ფარაში მისის ბიჭებისგან წაყვანილი საბალახოში აღებული ღორები ვიცანით, გამოვარჩიეთ ეს ღორები, დავბრუნდით ისევ ჩემთანა და ეს ღორებიც იქ გავრეკეთ. რადგანაც ღორების ფეხად გაყოფა მონაწილეობის კვალობაზედ არ შეიძლებოდა, დავხოცეთ და ხორცი გავიყავით. ყველამ ჩემთან ივახშმეს, მერე შინ წავიდნენ სოფ. ბაგაში და ყველამ თავისი ხვედრი ხორცი თან წაიღო. ცოტა ხნის შემდეგ მე დაწოლას ვაპირებდი. ამ დროს მოისმა თოფების გრიალი და შემდეგ ალიაქოთი იმ ალაგიდგან, სადაც კეზელის საბძელია. იქითკენ წავედი, მინდოდა შემეტყო, რა ამბავი იყო, ამ დროსაც კიდევ ისმოდა თოფების სროლა და ალიაქოთი. ფავლენიანთ სახლის წინ გზაზედ დავდექი, იქვე გამოვიდნენ ფავლენიშვილებიც თავისის სახლიდგან. ცოტ-ცოტა დაიწყეს მოსვლა შაბურიშვილებმა და გვითხრეს, რომ კეზელიაანი საბძელთან ჩასაფრებულიყვნენ და თოფები გვესროლესო. ბოლოს ყველანი იქ მოგროვდნენ, ბარამის და კოტეს გარდა, მერე-კი კოტეც მოვიდა და შეგვატყობინა თავის მამის მოკვლა, სთქვა რომ კეზელიაანთ მოკლესო, მართლაც, ბარამი ხევში ვიპოვეთ თოფით მოკლული.

ბრალმდებელი. თქვენ ხომ არ გაგიგონიათ კეზელის ხმა: ,,დაჰკარით, მე ვზღავ!“

მოწმე. გავიგონე.

ბრალმდებელი. ვისის წინადადებით დაადგინეთ საერთოდ, რომ საბალახე აზნაურებისაგანაც აგეღოთ?

მოწმე. კეზელის წინადადებით.

ბრალმდებელი. თუ-კი ეგრე იყო, შემდეგ რაღად უარობდა კეზელი საბალახოს მოცემას.

მოწმე. იმისთვის უარობდა, რომ ბოლოს მომეტებული საქონელი გაიჩინა, მამულში-კი ცოტა ნაწილი აქვს და ამ ნაწილის მიხედვით აღებული საბალახე ხელს არ მისცემდა.

ბრალმდებელი. წინადაც აგიღიათ საბალახე აზნაურებისაგან, თუ მაშინ პირველი მოკრება იყო.

მოწმე. პირველი მოკრება იყო.

ვექილი ტურკევიჩი. როცა საბალახოს ასაღებად დადიოდით, იარაღით იყავით, თუ უიარაღოდ.

მოწმე. უიარაღოდ, ჩვენ იარაღი არა გვაქვს.

ვექილი ტურკევიჩი. მაინც ჩვეულებად ხომ არა გაქვთ საბალახეს აღების დროს იარაღის ტარება აზნაურებს.

მოწმე. რა ვიცი, ჩვენ-კი არ ვატარებდით-და... მარტო მახარაშვილი იყო ბერდანის თოფით.

ვექილი ჯაბადარი. არც მაშინა გქონდათ იარაღი, როცა საბალახოს ღორები, თქვენის სიტყვით, კეზლის ფარადგან გამოარჩიეთ.

მოწმე. არა, არა გვაქვს იარაღი.

ბრალმდებელი. იქნება გაქვთ ვისმე ბერდანის თოფი შაბურიშვილებში, ან კიდევ სხვას ვისმე მეზობლებში.

მოწმე. არა, არც ჩვენა გვაქვს და არც სხვას ვისმე.

ვექილი ჯაბადარი. მარტო ექვსი ღორი გარეკეთ, თუ მთელი ფარა გარეკეთ თქვენს ეზოში და იქ ამოარჩიეთ ექვსი ღორი?

მოწამე: არა, მარტო ექვსი გავრეკეთ, მთელი ფარა რად გვინდოდა.

ვექილი ჯაბადარი. კეზელის ეზოდან?

მოწმე: არა, არც კეზელის ეზოდგან და არც მისის ალაგიდგან, ღორი ფავლენიანთ ალაგზედ სძოვდა.

ბრალდებული კეზელი. იქ ახლო-მახლო ფავლენიანთ ადგილი არ არის სამი-ოთხის ვერსის მანძილზედ, მოწმე მართალს არ ამბობს.

მოწმე. როგორ არ არი, ფავლენიანთ ნაკალოვარზედ იყო ღორი და იქ გამოვარჩიეთ საბალახოს ღორები.

ბრალმდებელი. ფავლენიანთ რა ნაირი თოფი აქვთ?

მოწმე. მხოლოდ სანადირო, ორლულიანი, „ცენტრალკად“ წოდებული.

ბრალმდებელი. კეზელსა?

მოწმე. ორი თოფი აქვს, ერთი „ბერდანისა“ და ერთიც „ვინჩესტერი“.

ვექილი ჯაბადარი. ეგ საიდგან იცით?

მოწმე. როგორ არ ვიცი, კეზელის სახლშიაც მინახავს ეს თოფები, მახარაშვილს ხომ ბერდანის თოფი სულ განუშორებლივ თან დაჰქონდა, ეს ყველამ იცის.

ბრალმდებელი. შვიდ ღორში რამდენი იყო საბალახო და რამდენი საკუთრივ კეზელისა.

მოწმე. სულ საბალახო იყო, მათ შორის სამი კეზელისაგან ავიღეთ საბალახოს ანგარიშში.

თავმჯდომარე. როცა ეგ ღორები გამოარჩიეთ, მწყემსი თანა ჰყავდა ფარას და ხომ წინააღმდეგობა არ გაგიწიათ?

მოწმე. დიაღ, მწყემსი კაკაბაშვილი იყო, წინააღმდეგობა არ გაუწევია.

თავმჯდომარე. აქ არის ეხლა კაკაბაშვილი?

მოწმე. არა, გარდაიცვალა.

ვექილი ჯაბადარი. სულ რამდენი ღორი გერგებოდათ საბალახოზედ, ესე იგი საერთოდ რამდენი უნდა აგეღოთ?

მოწმე. ორმოცა-და-ორი.

ვექილი ჯაბადარი: აბა ჩამოგვითვალეთ, ვისგან რამდენი გერგებოდათ, ვნახოთ, შესდგება თუ არა ორმოცა-და ორი?

მოწმე ჯერ დაიწყებს ჩამოთვლას, მერე თავს ანებებს და ამბობს ეხლა აღარც-კი მახსოვს ვისა და ვის ეყენა ჩვენს ტყეში ღორი და ან თითოეულისაგან რამდენი გვერგებოდაო.

ბრალდებული დავით კეზელი. მართალია, მე ვცდილობდი რაიმე წესი და რიგი შემომეღო საბალახოს მოკრების საქმეში, რადგან სრული უწესოება ჰსუფევდა, მაგრამ მამულის პატრონებისაგანაც საბალახოს აღება მე აზრადაც არ მომსვლია და არც ვისთან მოვრიგებულვარ ამის შესახებ. ან ბავში უნდა ვყოფილიყავი, ან უგუნური, რომ ჩემის თავისთვის საბალახეს გარდახდა დამეკისრებინა. წეს-რიგის დამყარება კი საბალახოს საქმეში აუცილებლად საჭირო იყო, რადგანაც შაბურიანთა და ფავლენიანთ რამდენჯერაც მოშიოდათ, იმდენჯერ გარბოდნენ საბალახოს ასაკრებად და ართმევდნენ საწყალ ხალხს თუნდა წინად აღებულიცა ჰქონოდათ.

შემდეგ ეკითხა ლუარსაბსა და კოტე ფავლენიშვილებს, რომლებმაც ისეთი ჩვენება მისცეს, როგორც დათიკო შაბურიშვილმა; ლუარსაბმა სთქვა, კეზელი იმ საღამოზე დუშეთიდგან რომ მოვიდა, პირდაპირ შაბურიანთკენ მიდიოდა შეიარაღებული. მე ვურჩიე, რომ არ წასულიყო და დავაბრუნეო. მერე კოტე და თადეოზ შაბურიშვილებმა აჩვენეს, რომ ჩვენც იმათში ვიყავით, რომელთაც კეზელმა და მისმა ბიჭებმა თოფი ესროლეს; ჩვენც კარგა დავინახეთ, რომ ბარამი, კოტე და დავით ლევანის ძენი შაბუ-

*) იხ. „ივერია“ № 186.

---

ბათ გამოფენის ხან-მოკლე არსებობა, გული გეთანაღრებათ. როდესაც გამოფენას შორიდგან უყურებთ ელექტრონის სინათლეზედ, რაღაცა ძალა გიზიდავს იმისკენ, როგორც მოჯადოვებულს. თუ რამ ბუნებრივი ან ხელოვნებითი ძალა და სილამაზეა, ყველა იმ პაწია სადგომშია მოთავსებული და თავ-მოყრილი. ვის და რას არა ჰნახავთ აქ!

გამოფენაზედ სულ 13 განყოფილებაა: ბაღოსნობისა, თევზთ-მოშენება შენახვისა და დაჭერისა, ტყის გაშენებისა, მეფუტკრეობისა და აბრეშუმის მოყვანისა, სასოფლო სამეურნეო იარაღებისა და მანქანებისა, სამთო განყოფილება, საქარხნო-საფაბრიკო, ხელოსანთა ნაწარმოებისა, ხელოსანთა განყოფილება, სოფლიურ ხელოვნებათა ნაწარმოებისა, სამეცნიერო განყოფილება, საკვებ-სანოვაგისა და სხვანი.

ჩვენ სანამ ამ საზოგადოდ განყოფილებათ შევეხებოდეთ, უმჯობესი იქმნება კერძო ფარდულების შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა და მერე ვრცლად ავწეროთ ყველა განყოფილება. კერძო ფარდულები, როგორც ნათქვამი გვქონდა, ეკუთვნის რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის შესანიშნავ მემამულეებს: გრაფებს პატოცკის, ტერეშჩენკოს, კოჩუბეის, გრაფებს ბრანიცკებს და სხვ. ეს ცოტად თუ ბევრად გაგვაცნობს სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის მდიდარ მემამულეების ქონებრივ მდგომარეობასა და წარმოება-მრეწველობას.

1) გრაფ კ. პატოცკის ფარდული. გრაფ პატოცკის ფარდული წარმოადგენს ორს ცალკ-ცალკე აგებულს ლამაზს პაწია შენობას, რომელსაც აერთებს მოაჯირებით მორთული ქვის აივანი. ფარდულის გარშემო დარგულია მრავალი ბუჩქები და სხვა და-სხვა ხეები (რასაკვირველია, პატარა ნერგები), რომელიც ჩამოტანილია გრაფის მამულიდგან. გრაფის შენობის პირველ ნახევარში მოთავსებულია ტეპლიც-სიტკოვეცის მამულიდგან ჩამოტანილი ნაწარმოები: ჯერ თაველში მყოფი პური, მარცვალი პურისა და სხვა, აგრეთვე ნაწარმოები პჩელიანის სპირტის სახდელის ქარხანისა და ტაშლიკისა. ტეპლიც-სიტკოვეცის მამული არის პოდოლის გუბერნიაში, სულ მამული შეიცავს 25.000 დეს. *), ამაში 6.000 დეს. ტყე არის. გრაფის მამულის ისტორია გამორკვევით იციან 1652 წლიდგან. ეს მამული ხშირად განაწილებულა, გაყოფილა, მაგრამ დღეს ისევ შეერთებულია 1875 წ. ალექსანდრე II დროს გრაფინია ა. პატოცკის მეოხებით. როგორც ამ მამულის ისტორიიდგან სჩანს (ი. ლეშჩენკო), გრაფს 1652 წ. ჰყოლია 108.676 სული გლეხი; დღეს ის არ არის, რაც იყო, მაგრამ მამულს თავის სიდიადე მაინც შერჩა. გრაფის მამულში ამ ჟამად ათას გვარი მეურნეობა, მრეწველობა სწარმოებს, ათას გვარი ქარხანა ფაბრიკაა: შაქრისა, სპირტის სახდელი, ქსოვილებისა და სხვა. მამულის ახლო მახლო მყოფ გლეხ-მუშებს წელიწადში სამას ათას მანეთამდის შემოსავალი-ქირა აქვთ გრაფ. პატოცკის წყალობით.

გრაფს სხვათა შორის ეკუთვნის ორი შესანიშნავი შაქრის ქარხანა სობოლევისა, რომელიც არსებობს 1868 წ. მოსამსახურეთა გარდა, ქარხანაში მუშაობს მუდამ 600 კაცი-მუშა. იქვე არის აბანო, საავადმყოფო, სასწავლებელი, დამხმარებელი კასსა და სხვა, და სიტკოვეცისა. დაარსებულია 1866 წ. ამ ქარხნის არსებობიდგან შეშის მოტანის ქირა გლეხებს აუღიათ 250 ათასი მან., ტყის პატრონებს შეშის ფასი — 650 ათასი მ., დღიურ მუშებს 556 ათასი მანათი, კირის მოტანაში გლეხებს — 80 ათასი მან. ეს ცნობები ნათლად გვიხატავს, რამდენად სასარგებლოა ეს წარმოება ახლო მყოფ ხალხისათვის.

გრაფის ფარდულში გამოფენილია შაქრის წარმოების პროცესის ნიმუშები, ასე რომ მნახველს ეძლევა საშუალება გაიგოს როგორ მზადდება შაქარი საზოგადოდ ქარხნებში...

2) გრაფინია და გრაფ ბრონიცკების ფარდული. ესეც ღირს-შესანიშნავია შიგ მოთავსებულის ნიმუშებით. ფარდულის ერთი ნახევარი დაჭერილი აქვს გრაფინია მ. ბრონიცკისასა თავისის მამულისა და ქარხნების ნაწარმოებით. გრაფინიას მამულში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჭარხლის (შაქრის) მოყვანას, ამის პლანტაცია სულ შეადგენს 4000 დესეტ. აქ მოყვანილი ჭარხლის თესლი ვრცელდება მთელს რუსეთში სათესლედ. თესლის არჩევის დროს ბევრს სპობენ, ჰყრიან, მაგრამ ნაცვლად რჩებათ საუცხოვო ხარისხის თესლი, შედარებით მოდიდო და უფრო შაქრიანი. გრაფინიას კიევის გუბერნიაში ოთხი შაქრის ქარხანა აქვს: სელივონისა, კოჟანისა, შამრაევისა, და ოლშანისა. ამ ქარხანაში წლიურად ამზადებენ შაქარს 900 ათას ფუთამდის. ყველა ნაირი შაქრის ნიმუშები წარმოდგენილი აქვს ნიმუშებად. გრაფინიას აქვს სპირტის სახდელი ქარხანა; სპირტისთვის თითონ ამზადებენ განსხვავებულს ჰურჰლებს (ხისას), რომელიც

*) დესეტინა 2.400 ოთხ-კუთხი საჟენია.

რიშვილები იქითკენ გაიქცნენ, სადაც ბარამი იყო მოკლულიო, თან თოფების სროლით უკან გამოუდგნენ კეზელი და მახარაშვილიო. თებრო შაბურიშვილისას, დავით ნიკოლოზის ძის შაბურიშვილის ცოლს ბრალდებელმა ჰკითხა: იარაღი ჰქონდათ თუ არა შაბურიშვილებს, როცა იმათ ღორები დახოცესო. მოწმემ უპასუხა, რომ იარაღი არავის არა ჰქონიაო.

ვექილი ჯაბადარი. არც ხანჯლები ჰქონდათ?

მოწმე. არა.

ვექილი ჯაბადარი. მაშ ღორები რითი დახოცეს?

მოწმე. სამზარეულო დანით.

ბრალდებული კეზელი. გთხოვთ ჰკითხოთ მოწმეს, აქვთ თუ არა მაგათ სამზარეულო?

მოწმე. მაშ ვისაც სამზარეულო არა აქვს, არც დანა ექნება, არც ჯამი და არც კოვზი?!.

შემდეგა ჰკითხეს იოსებ ნამგალაურს, რომელმაც სთქვა: მე მაშინ მიქელა მოლოდინთან მოჯამაგირედ ვიყავი, იმ საღამოს მიქელამა და მისმა შვილმა, რადგან საბალახოს გასაყოფად იყვნენ, ძალიან დაიგვიანეს, მე წავედი საშაბუროში დათიკოსას, რომ შემეტყო დაგვიანების მიზეზი. კეზელის საბძელთან გავიარე, იქ ვიღაცები იყვნენ ჩასაფრებულები, მგონია კეზელის ბიჭები იყვნენ. იმათ დამიძახეს, ვინა ხარ, სად მიდიხარო. მეც ვუთხარი ჩემი ვინაობა და ისიც სადაც მივდიოდი.

ბრალდებული კეზელი. ჰკითხეთ მოწმეს, მაგან არ იცის, რომ მე იქ სულ მუდამ დარაჯი მიყენია, გამვლელ-გამომვლელს მუდამ ხმას აძლევენ და ჰკითხავენ, ვინ არის, ან სად მიდის?

მოწმე: არ ვიცი, მე ეგ არ გამიგია.

თავმჯდომარე. შენ რათა გგონია, რომ ჩასაფრებულები იყვნენ, რადა ხმარობ სიტყვას „ჩასაფრებულები“, რითი იცი, რომ მართლა ჩასაფრებულები იყვნენ?

მოწმე. რავიცი, იქ-კი იყვნენ და... მაშ რას გააკეთებდნენ!

ამით დასრულდა ბრალმდებლისაგან მოწმეების გამოკითხვა და შემდეგ ჩვენება ჩამოერთვა ბრალდებულის მოწმეებს ნ. კობიაშვილს, გ. ბაშაროვს, თ. ხინჩაგაშვილს, აგრეთვე მოკლულთან დარაჯად ნამყოფს პეტრიაშვილს და მამასახლისს ლაზვიაშვილს.

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

—

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ სეტყვისაგან მინდვრების საურთიერთო დაზღვევის საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა შესამუშავებლად.

— ფინანსთა სამინისტრომ ცნობების მაჩვენებელი შეადგინა ყველა იმ საეროზო საკითხის შესახებ, რომელიც-კი რუსულს მწერლობაში მოიპოვება.

— ახლა-კი გარდაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რომ კიევში ხელოვნებისა და სიძველეთა მუზეუმი იქმნება დაარსებული. ამ ჟამად უკვე 200,000 მან. შეკრებილი. სხვათა შორის, თავისს საშუალებათა გასაზრდელად კიევის სიძველეთა და ხელოვნების საზოგადოება გამოფენასა ჰმართავს, რომელშიაც სამხრეთ დასავლეთის საარქეოლოგო საგნები იქმნება გამოფენილი.

— საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ღარიბ სტუდენტების დამხმარებელს საზოგადოებას ხუთი ახალი სტიპენდია დაუარსებია აკადემიის სტუდენტების: ი. ა. კარპოვიჩისა, ვ. პ. პოტაპოვისა, კ. ი. ტარასოვისა, გ. ი. კუკლინისა და ა. ი. შებეკის სახელობაზედ, რომლებმაც გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირეს სიცოცხლე.

— შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საქალაქო კრედიტის დაწესებულებათა ნორმალურს წესდებაში ახალი მუხლი იქმნას შეტანილი, რომლის ძალითაც ქალაქის საზოგადო ბანკებს დავალებული ექმნებათ სათადარიგო თანხა შეადგინონ. სათადარიგო თანხა ძირის თანხის ერთს მესამედს უნდა შეადგენდეს, როგორც საკომერციო, სააქციონერო ბანკებშია მიღებული. სათადარიგო თანხა ბანკის მოგებიდგან უნდა იქმნას გადადებული, წლიურად 20% იმ დრომდის, ვიდრე სათადარიგო თანხა ძირის თანხის ერთს მესამედს შეადგენდეს. ამის შემდეგ ყოველწლივ მხოლოდ ათ-ათი %-ლა იქმნება გადადებული. როდესაც სათადარიგო თანხა ძირის თანხას გაუსწორდება, მაშინ %-ის სათადარიგო თანხაში გადატანა შეწყვეტილ იქმნება.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეებში დაამტკიცა წესდება მოსამსახურეთა... მავალის ახალის საზოგადოებისა, რომელიც პეტერბურგში იქმნება დაარსებული და სახელად ეწოდება „საზოგადოება პირადის შრომის საურთიერთო დახმარებისა“. ამ ახალს საზოგადოებას აზრად ექმნება: თავისს წევრებს დახმარება აღმოუჩინოს და გაჭირვების დროს დროებითი, ან სამუდამოდ ფულით დახმარება აღმოუჩინოს, დაეხმაროს და შესაფერი სამუშაო მოუძებნოს და ოჯახის შემნახველის სიკვდილის შემდეგ დანარჩენ წევრებს ოჯახისას ხელმძღვანელობა გაუწიოს, — მოხუცთ და შრომისათვის გამოუსადეგართ თავშესაფარი გაუჩინოს, ბავშვებს სწავლა-განათლება მისცეს. წესდების ძალით, აღნიშნულს საზოგადოებაში წოდებისა, სარწმუნოებისა და ქონების განურჩევლად ყველას მიიღებენ წევრად, ვინც-კი წლიურად სამს მანეთს შეიტანს. სამის მანეთის შემტანი ნამდვილი წევრი იქმნება

# უცხოეთი

—

**კრიტი.** აი რას იუწყებიან რომის გაზეთები კრიტის საქმეების შესახებ: სახელმწიფოთა ესკადრას უფროსმა იტალიის ადმირალმა კანევარომ ერთს ჟურნალისტთან ლაპარაკის დროს სთქვა, რომ თვით-მმართველობა მალე დააწყნარებს და დაამშვიდებს კრიტსაო. საბერძნეთთან შეერთებას ეხლა კრიტელები აღარა ჰფიქრობენ, რადგან კარგად იციან, რომ საბერძნეთი დახმარებას ვეღარ აღმოუჩენს. კრიტელები მხოლოდ კუნძულის ოსმალეთის ჯარისაგან განთავისუფლების დარდში არიან, მაგრამ არც ოსმალეთი ჰკარგავს დროს და სცდილობს საუკეთესო ადგილები დაიჭიროს. ჯევად-ფაშა გამოცდილი ადმინისტრატორია, იგი სცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს ადმირალებს და ყოველივე იმათი განკარგულება დაარღვიოს ხოლმე, მაგრამ აქამდის ამის გამო არავითარი შეტაკება არ მომხდარა. სახელმწიფოთა ჯარი კუნძულზედ რამდენსამე ხანს კიდევ დაჰყოფს და ამ ხნის განმავლობაში ჟანდარმთა დასის შედგენასა და დაწყობას შეუდგება. კანევარო მალე უკან იქმნება გაწვეული.

სხვა გაზეთები იუწყებიან, რომ კრიტის საეროვნო კრების პრეზიდენტი ბენისელო 31 აგვისტოს ათინაში მივიდაო. კრიტიდგან წასვლის დროს მან ადმირალებს ქაღალდი გადასცა, რომელშიაც აცხადებს, რომ თანახმა ვარ თვით-მართველობასა, თუ ოსმალეთის ჯარი იქმნება გაწვეული კრიტიდგანაო“.

—

**ოსმალეთი და საბერძნეთი.** გაზ. „Berl. Loc. Anz“ სწერენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ მოლაპარაკება ზავის შესახებ მალე დასრულდებაო, კრებები თოფხანებში მალე დაიწყება და ყველას იმედი აქვს, რომ ზავის საქმეს არავითარი შემაფერხებელი მიზეზი აღარ შეხვდებაო. იგივე გაზეთი სწერს: „საბერძნეთის მთავრობამ მოწერილობა გაუგზავნა ევროპის სახელმწიფოთ, რომელშიაც სთხოვს, ნება დართონ საბერძნეთის იმ ქვეშევრდოთ, რომელნიც ომის დაწყებამდე ოსმალეთის სახელმწიფოში ვაჭრობდნენ, განაახლონ ვაჭრობა მაშინვე, როდესაც ხელმოწერილი იქნება ზავის შესახებ დადგენილი პირობანიო. გარდა ამისა, საბერძნეთი თხოულობს უკან დაბრუნების ნება მიეცეთ აგრეთვე იმ თესალიელებს, რომელნიც თავიანთის ქვეყნიდგან ომის გამო გაიხიზნენ“.

# დამაკვირდი

ბედნიერად ყოფნა არც ისეძნელია, როგორც ზოგსა ჰგონია; ხოლო თითოეულს ჩვენგანს სხვაზედ ბედნიერად ყოფნა უნდა და ეს კი შეუძლებელია.

* * *

მოხუცება ან სცვლის ადამიანს ან აქვავებს.

მარიამ ებნერ-ეშენბახისა

* * *

ბინდი მარტოობისა სინიდისს ნათელსა ჰფენს, დიდის სინათლის ბრწყინვალება-კი ჩრდილს აყენებს.

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სამხრეთ ნუბიაში თურმე ერთ-გვარი ხეა, რომელიც დიდ ხანს აკვირვებდა ადგილობრივ მცხოვრებლებსა და უცხო ქვეყნებიდგან მოსულ მგზავრებსაც. ადგილობრივი მცეოვრები ამ ხეს ძლიერ დიდს პატივსა სცემენ კიდეც. ეს ხე იმითია შესანიშნავი, რომ როდესაც სიო დაჰბერავს, ისეთს ხმას იღებს, კაცს ეგონება სალამური უკრავსო. დიდ ხანს არ იცოდნენ, რა მიზეზია ამ ხმაურობისა და მხოლოდ ეხლახან გამოიკვლია ეს საკვირველი ამბავი ერთმა მეცნიერმა, გვარად ამტეონფურტმა. თურმე ერთ გვარს მწერს ძლიერ უყვარს ამ ხის წებო, მიადგება ხოლმე ხის შტოებს, დასჩხვლეტავს და წებოს ამოაცლის. ცოტა ხნის შემდეგ შტოები ისეა დახვრეტილი, როგორც სალამური და ქარმა რომ ოდნავ დაჰბეროს, თითოეული შტო სალამურსავით უკრავს.

* * *

რუსულ ჟურნალში „Новь“ შემდეგი საყურადღებო ამბავი სწერია: „ბ-ნ ბეკლემიშევის ბაღში, ახალ ათონის მონასტერთან (სირცხა) სოხუმის ოლქში, რამდენიმე ვაშლის ხეა იმ სიმაღლე, რომ კაცი ვერაფრით ვერ ასწვდება და იმ სისქე, რომ კაცი ხელებით ვერ შემოსწვდება. ვაშლის ხეები უყურადღებოდ იყო დარჩენილი და არ ისხავდა.

ბ-ნმა ბეკლემიშევმა ბრძანა, ამ ხეებისათვის რიგიანად მოევლოთ და მეორე წელსვე ცხრა ხისაგან 280 ფუთი ვაშლი დაკრიფეს ე. ი. თითო ხისაგან 30 ფუთზედ მეტი. ამასთან ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ხეხილებს ნახევარზედ მეტი კიდევ ზედ შერჩა ვაშლი, რადგანაც ვერას გზით ვერ შესწვდნენ.

აქაური ვაშლი საუკეთესო არისო, ამბობს ზემოხსენებული ჟურნალი, გემოთი სინოპის ვაშლს არ ჩამოუვარდება და იმ სისხოა, რომ 175 ცალი ერთს ფუთს იწონავს. ამიტომ აქაურს ვაშლს სიხარულით ყიდულობენ ვაჭრები და რუსეთში ჰგზავნიან. ალაგას ეს ვაშლი თერთმეტ შაურად იყიდება ფუთი, პეტერბურგში-კი 3 მანეთადა ჰღირს. ამასთანავე ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეს ვაშლი ადვილად და კარგად ინახება. ვაჭრები ბოჩკებში ჰყრიან და ისე ჰგზავნიან.

ვაშლის ჩირიც ძლიერ კარგია, ახალ ათონის ბერები ყოველ წელიწადს 300 ფუთს ვაშლს ახმობენ თავიანთვის.

---

სპირტს უცვლელად ინახავს. ქარხანაში იხდება რამდენიმე ათასი ვედრა სპირტი. აქვს აგრეთვე ლუდის ქარხანა, აგურისა და სხვა. გრაფინიის მამულში ცხენების გაშენებასაც ყურადღება აქვს მიქცეული. საუცხოვო ჯიშის ცხენები ჰყოლია, როგორც გამოფენაზედ წარმოდგენილი ცხენები გვიმტკიცებს. ფარდულში აქვთ გამოფენილი ყველა სამეურნეო იარადი, რომელსაც ქარხალის თესვა-მოყვანის დროს ჰხმარობენ, ნიმუშები თესლისა და სხვანი.

გრაფინიის მამულის ახლო მყოფ მუშა-გლეხებს დიდი შემოსავალი აქვთ ყოველ წლობით: ესენი ჰზიდავენ მომზადებულს ნაწარმოებს, ჰმუშაობენ დღიურად ყანა-მინდორზედ, ქარხნებში და სხვ. სარგებლობენ ექიმის დახმარებით მუქთად.

ფარდულის მეორე ნახევარში მოთავსებულია გრაფ ვ. ა. პატოცკის მამულის ნაწარმოებნი: პური, სიმინდი, ჰარხალი, ჭარხლის თესლი, შაქარი სხვა-და სხვა სახისა, საკუთარ ქარხნიდგან მოტანილი, სამეურნეო იარაღები, ტყიდგან გამოტანილი ნიმუშები 100 წლოვან ხეებისა და სხვა. გამოფენილია აგრეთვე სპირტის სახდელ ქარხნის ნაწარმოები. გრაფ ბრანიცკისა აქვს სამი შაქრის ქარხანა: სენიავისა, სოსნევისა და ეზერანისა. წლიურად მზადდება 500.000 ფუთი შაქარი. საკუთარ შაქრის ქარხნისათვის თავისს მამულში დათესილი აქვს ჭარხალი 3,200 დესეტინაზედ. უკანასკნელ წარმოებით დიდი სარგებლობა აქვთ ახლო-მახლო მოსახლე გლეხ-მუშებს. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, ათის წლის განმავლობაში, ქარხანაში მომუშავეთა გარდა მიუციათ ჭარხლისა, შაქრისა და სხვათა გადატან-გადმოტანაში გლეხებისთვის 2.847.650 მან., ე. ი. წელიწადში სამასი ათას მანეთამდის. ამით როდი განისაზღვრება გრაფის საქარხნო მრეწველობა, გრაფს აქვს აგრეთვე სპირტის სახდელი ქარხანა, ფისისა, სკიპიდარის დასამზადებელი და ფქვილისა.

ტყეც არა ნაკლების ყურადღების ღირსია. ფარდულში ნიმუშებია სტავიშჩანის ტყეებისა, რომელსაც 12.495 დესეტინა ადგილი უჭირავს. შეშის დამზადების დროს, გადატან-გადმოტანა და სხვა მუშაობით ტყეში იქაურ სოფლელებს არა მცირედი სარგებლობა აქვთ: ყოველ წლობით იღებენ ორასს ოცი ათასს მანეთს. გამოფენაზედ ამ ტყიდგან ჩამოტანილია ას წლოვანის მუხისა და ნაკერჩხალის ვეებერთელა ნაჭრები.

გრაფ ბრანიცკის მამულში არის ქვის სატეხი დიდი ადგილები და აგურის საკეთებელი ქარხნები. აქაური აგური იმითია შესანიშნავი, რომ ცეცხლი დიდს ზიანს არ აძლევს.

ფარდულს გარშემო საკუთარ მამულიდგან ჩამოტანილი ამწვანებული ბუჩქები და ხეხილები არტყია, რაც გარეგანს სილამაზესა ჰმატებს იქაურობას.

3) კ. პ. კოჩუბეის ფარდული. კოჩუბეის მამული ჩერნიგოვის გუბერნიაშია. სულ მამული შეიცავს 7016 დესეტ., ამაში 5826 დეს. ტყე, 575 დეს. სახნავ სათესი და 614 დეს. უვარგისი მიწა. როგორც ვხედავთ, უმთავრესი ნაწილი მამულისა დაჭერილი აქვს ტყეს, რომლის 91% მარტო ფიჭვია. კოჩუბეის მამულში მზადდება განსაკუთრებით ფიცრები, შეშა და სხვა ხის მასალა. აქვს საკუთარი ფიცრის სახერხი ქარხანა, რკინის სახელოსნოები, ფქვილის საფქვავი ქარხანა. საზოგადო თესვა-მეურნეობასაც არა მცირე ადგილი აქვს დაჭერილი კოჩუბეის მამულის წარმოება-მრეწველობაში. მოჰყავთ ბლომად ქერი, პური სიმინდი და სხვანი. აშენებენ საქონელს, ცხვრებს და ამზადებენ თაფლს; მამულში არის საცდელი მინდვრები, საცდელი ფერმები, სამეტეროლოგიო სადგური ზგუროვის სამეცნიერო საცდელ ფერმასთან.

ამავე მამულში კოჩუბეის აქვს თავისის ხარჯით გამართული სასწავლებელი. ამ სასწავლებლისათვის არავის, კოჩუბეის გარდა, არა დაჰხარჯვია-რა. ყველა ბავშვები უსასყიდლოდ სწავლობენ, სასწავლო ნივთები და წიგნებიც-კი მუქთად ეძლევათ. ამ სასწავლებელში ელემენტარულად მეურნეობასაც ასწავლიან.

კოჩუბეის მამულთან დაახლოვებულ სოფლელებს ამ მამულიდგან საკმაო შემოსავალი აქვთ. ისინი მუდამ ჰშოულობენ აქ სამუშაოებს თითქმის ყოველ დღე, კაციცა და ქალიც. კაცი იღებს დღიურად 35—50 კაპ., ქალი—20—35 კაპ. ამგვარი შემოსავალი მით უფრო სასარგებლოა სოფლელს მუშისთვის, რომ ის სახლშივე რჩება, არა ჰშორდება ოჯახს, თავისს სახლს განუწყვეტლივ თვალს ადევნებს და თავისს მარჯვენასაც აწვდის. კოჩუბეისთან მომუშავე ტყეში სოკოების გამოსატანს არაფერს იხდის, სხვას-კი ფული ერთმევა. ახლო სოფლებში არა ჰშორდებიან სახლს მამაკაცები ისე, როგორც რუსეთის ბევრ სხვა ალაგას. რად ხდება ეს, ამას მკითხველიც ადვილად მიხვდება.

მალაქია ბოლქვაძე

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 სექტემბერი.

**ლონდონი.** სიმლიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ გენერალმა ჯეფრისმა სასტიკად დასაჯა მოხმანდები, რომელნიც თხოულობენ შეწყალებას და ამბობენ, რომ წინააღმდეგობას აღარ გაგიწევთო.

**ბერლინი.** კონსტანტინეპოლის ელჩის თანამდებობაზედ ასახელებენ სტატს-სეკრეტარს ფონ-მარშალს.

**სიმლა.** უკანასკნელ ღამეს გადდის მოლა, აუარებელის ჯარით, თავს დაეცა გენერალ ბლედის რაზმს. ბრძოლა ხუთს საათს გაგრძელდა. ინგლისელთაგანი 1 მოკვდა და 14 დაიჭრა. დაჭრილთ შორის გენერალი იოდჰაუზიც არის. დღეს შეერთდა ელლისის და ბლედის ჯარი.

**ბუდაპეშტი.** 9 სექტემბერს გერმანიის იმპერატორმა ქალაქის შესანიშნივი ადგილები დაათვალიერა. ნაშუადღევის 5 საათზედ სადღესასწაულო სადილი იქმნა გამართული, რომელზედაც იმპერატორმა ვილჰელმა უნგრელნი და მათი მეფე შეაქო და ბოლოს უნგრულად სთქვა: „გაუმარჯოს მეფეს“ საღამოზედ ფრანც-იოსები და იმისი სტუმარი სადღესასწაულო წარმოდგენას დაესწრნენ, რომლის შემდეგ ვილჰელმი სადგურსედ წავიდა. მატარებელი გერმანიის იმპერატორითურთ საღამოს 10 საათზედ წავიდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

22 აგვისტოს ზემო ქართლელმა ქალებმა გავმართეთ წარმოდგენა სოფ. ავლევში, სოფ. ბრეძაში განზრახულ სასოფლო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო ბ-ნ ავ. ცაგარლის კომედია „ციმბირელი“. წარმოდგენასა, ვახშამსა და ლხინში, გათენდა კიდეც და დილით დაიშალა ხალხი. სრული შემოსავალი იყო 67—მ., ხარჯს გარდა დარჩა 31—მ.

დიდს მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინც-კი წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო: დ. ი—ძე და გ. ი—ძე ვეზიროვებს და ლ. ა—ძე და გ. ვ—ძე ხერხეულიძეთ, რომელნიც დაგვეხმარნენ ყოველ მხრივ. განსაკუთრებულს მადლობას ვუძღვნით იმ პატივცემულთ, რომელთაც შემოსწირეს ფულად ამ საქმეს; კ. ნინო იოსების ასულს ამირეჯიბისას, რომელმაც დაგვითმო სახლები უფასოდ და სხვა ყოველგვარი დახმარება აღმოგვიჩინა, და თავ. ლევან რევაზის ძეს ფალავანდიშვილს, რომელმაც, თავისის მოხდენილის თამაშობის გარდა, გაგვიყიდა ბილეთების მომეტებული ნაწილი.

ფულად შემოსწირეს: თ. კ. მიხეილის ძე ამირეჯიბმა 5 მ., უ. ნ. გ—ძე მაჭავარიანმა 3 მ., კ. მ. ქაიხოსროს ასულმა ამირეჯიბისამ 2 მ. და თ. ვ. ო—ძე. ხერხეულიძემ 2 მ. ეს ფული მოთავსებულია წარმოდგენის ანგარიშში.

კნიაჟ. ბ. ვლადიმირის ასული ხერხეულიძე.

ს. ერგნეთი.


# განცხადებანი

**სასწავლებელი და პანსიონი**

**გ. ლ. კუზანოვისა.**

მიიღებს მოსწავლეებს 25 აგვისტოდგან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდგან.

მუხრანიანთ და ვანქის ქუჩების კუთხეში, სახლი ყორღანოვისა და ჯანშიევისა, № 12.

(7—170—4)


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის მიხეილის სახელობაზედ დაარსებულ სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

1897 წლის 1 ივლისისათვის.

## აქტივი.

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასაში ნაღდი ფულია . . . | — | — | 49,824 | 11 |
| მიმდინარე ანგარიშთა რაოდენობა: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში . . . | 6,441 | 26 | | |
| ბ) ტფილისის საკომერციო ბანკში . | 362 | 32 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . . | 51,732 | 71 | | |
| დ) კორესპონდენტებთან . . | 195,518 | 78 | 254,055 | 07 |
| საწევრო შესატანი ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . | — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო %% ქაღალდები შენახულნი სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში: | | | | |
| ა) გირავ. ფურც. გამოცემის უზრუნველ საყოფელად (§ 50 წესდებისა) . . (220,000) | 203,704 | 02 | | |
| ბ) გირ. ფურც. და კუპონების გამოსასყიდად. . . (50,000) | 46,924 | 89 | | |
| გ) სათადარიგო თანხისა. (90,600) | 86,150 | 78 | 336,779 | 69 |
| დანარჩენი ფასიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) ბანკის საკუთრებანი. (77,300) | 75,991 | 35 | | |
| ბ) სათადარიგო თანხისა (5,800) | 5,695 | 71 | 81,687 | 06 |
| %% სახელმწიფო % ქაღალდების 1897 წლის 1 ივლისამდე . . | — | — | 1,291 | 40 |
| გასაცემად დანიშნული სესხი . . | — | — | 16,500 | „ |
| სესხი: ა) მიწის გირავნობაში მისაცემი . . . . . . | 1.450,454 | 69 | | |
| ბ) ქალაქის მამულებისა. . . | 1.384,654 | 10 | 2.835,108 | 79 |
| გ) მოკლე ვადიანნი . . . | — | — | 216,966 | „ |
| გარდასახადი მსესხებლებზედ: | | | | |
| ა) ვადიანი . { ხანგრძლივი სესხით . | 123,692 | 28 | | |
| { მოკლე ვადით . . | 9,618 | 08 | | |
| ბ) ვადას გადაცილებული. { ხანგრძლ. სესხით. | 62,279 | 95 | | |
| { მოკლე ვადიანი . | 4,862 | 55 | | |
| გ) ჯარიმა . . . . . . | 4,482 | 90 | 204,935 | 76 |
| გარდახდა სესხისა გირავნობის ფურცლებით . . . . . | 3,600 | — | | |
| აღებულის სესხის ნაღდის ფულით გარდახდა . . . . . | 56,913 | 33 | 60,513 | 33 |
| ვადამდის გარდახდილი ფული კუპონებით. . . . . | | | | |
| გარდახდილი ფული ტირაჟში გამოსულ გირავნობ. ფურცლებში . | — | — | 2,600 | „ |
| სხვა-და-სხვა მოვალენი . . . | — | — | 4,733 | 92 |
| დასაბრუნებელი ხარჯი: | | | | |
| ა) მსესხებლებისაგან . . . | 25,027 | 60 | | |
| ბ) მამულებისა, რომლებიც ბანკს დარჩა . . . . | 9,554 | 28 | | |
| გ) სასამართლოს საქმეებისა . . | 843 | 70 | 35,425 | 58 |
| მოწყობა-გამართვის ხარჯი. . . | — | — | 1,461 | 14 |
| მართვა-გამგეობის ხარჯი . . . | 15,001 | 88 | | |
| არა-ჩვეულებრივი . . . . | 27,172 | 23 | 42,174 | 11 |
| კუპ. და გირავნ. ფურცლები განაღდ. კომ . . . . . . | — | — | 633 | „ |
| 5% გარდასახადი მოგებისა . . | — | — | 3,138 | 84 |
| 5% გარდასახადი კუპონებისა . . | — | — | 88 | 92 |
| ორჯელ ათის წლის საკუპონე ფურცლები . . . . . . . | — | — | 7,230 | „ |
| გირავნობის ფურცლების ტალონები . | — | — | 22,100 | „ |
| გერბის გარდასახადი . . . . | — | — | 1,685 | 20 |
| გირავ. ფურც., რომლებიც კომისს. იქმნენ მიღებულნი . . — | — | — | — | — |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | — | — | 4.178,961 | 92 |

შენიშვნა: %% ქაღალდ. ბანკის კასსაში და კორესპონდ. 103,200— „

შესანახად მოცემ. გირავნ. ფურც. 17,500— „

## პასივი.

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| საერთოდ გამოღებული თანხა . | 595,586 | 95 | | |
| სათადარიგო თანხა . . . | 96,324 | 85 | 691,911 | 80 |
| გამოსაცემი გირავნობის ფურცლები { $48^{8}/_{12}$ წ. | 8,200 | „ | | |
| { $36^{4}/_{12}$ წ. | 8,300 | „ | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | — | „ | 16,500 | „ |
| გირავ. ფურც., რომლებიც უკვე წარმოებაშია { $48^{8}/_{12}$ წ. | 598,100 | „ | | |
| { $36^{4}/_{12}$ წ. | 452,300 | „ | | |
| { $43^{1}/_{2}$ წ. | 864,900 | „ | | |
| { $18^{7}/_{12}$ წ. | 245,400 | „ | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | 731,000 | „ | 2.891,700 | „ |
| თავნის გასასტუმრებელი ფონდი { $48^{8}/_{12}$ წ. | 1,860 | 42 | | |
| { $43^{1}/_{2}$ წ. | 6,019 | 21 | | |
| { $18^{7}/_{12}$ წ. | 20,808 | 79 | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | 14,564 | 35 | | |
| { $36^{4}/_{12}$ წ. | 2,558 | 33 | 45,811 | 10 |
| სარგებლის ფონდი { 6% სესხ. | 33,309 | „ | | |
| { 5% „ | 44,535 | „ | 77,844 | „ |
| მომავალში გარდასახდელია . . | — | — | 27 | 50 |
| გასაცემად გადადებული თანხა: | | | | |
| ა) გირავნობის ფურც., რომლებიც ტირაჟში გამოვიდნენ . . | 231,000 | „ | | |
| ბ) გირავნობის ფურცლის გარდასახდელი კუპონები . . . | 84,871 | „ | 316,471 | „ |
| ვადამდე მოსას. დანიშ. სესხნი ნაღდი ფულით { $43^{1}/_{2}$ წ | — | — | | |
| { $18^{7}/_{12}$ წ. | 6,183 | 19 | | |
| { $48^{8}/_{12}$ წ. | 4,765 | 19 | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | 86 | 14 | | |
| { 36 წ. | 67 | 71 | 11,102 | 23 |
| გირავ. ფურცლებით { $48^{8}/_{12}$ წ. | — | „ | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | 1,500 | „ | | |
| { 18 წ. | 100 | „ | | |
| { $36^{1}/_{2}$ წ. | 2,000 | | 3,600 | „ |
| მოკლე ვადიან სესხთა სარგებელი | 21,333 | 80 | | |
| ჯარიმა . . . . . | 8,996 | 67 | | |
| ერთხანად შემოტანილი ფული . | 1,620 | 80 | | |
| სხვა-და-სხვა სარგებელი . . | 9,955 | 31 | | |
| წლიური შესატანი გამგეობის ხარჯის შესავსებლად, საზოგადო საჭიროებათა შესადგენ თანხისათვის და სხვ. . . . . . | 36,793 | „ | | |
| გაყიდულ მამულების მოგება . | 5,552 | 35 | 84,251 | 93 |
| გარდამავალნი ჯამნი . . . | — | — | 9,248 | 93 |
| სხვა-და-სხვა მსესხებელნი . . | — | — | 1,158 | 36 |
| ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასაჯილდოებლად . . . | — | — | 5 | 07 |
| შესაცვლელი კუპონების ფურცლები . . . . . . | — | — | 7,230 | „ |
| გირავნობის ფურფლების ძველი გასაუქმებელი ტალონები . . | — | — | 22,100 | „ |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | — | — | 4.178,961 | 92 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.